# უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№8 (63) 2016


# არჩევნები უნივერსიტეტში

*2016 წლის ივლისი უნივერსიტეტში არჩევნების თვე გახლდათ. 8 ივლისს უნივერსიტეტმა აკადემიური საბჭო აირჩია; 15 ივლისს სენატი დააკომპლექტა; 19 ივლისს კი კანცლერის არჩევნები ჩაატარა, სადაც დადასტურდა, რომ ამ გადაწყვეტილების მისაღებად უნივერსიტეტი ამ ეტაპზე არ არის მზად. არჩევნების პროცესი გრძელდება – წინ კანცლერის განმეორებითი და რექტორის არჩევნებია.*





## თსუ აკადემიური საბჭოს არჩევნები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაფართოებული აკადემიური საბჭოს არჩევნებზე 21 წევრი აირჩიეს. თსუ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის **გიორგი ჩაკვეტაძის** განცხადებით, „აკადემიური საბჭოს წევრები გახდნენ: **აკაკი ყულიჯანიშვილი** (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი), **ვასილ გონაშვილი** (იურიდიული ფაკულტეტი), **დავით კერესელიძე** (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი), **გია ლობჟანიძე** (მედიცინის ფაკულტეტი), **ავთანდილ სილაგაძე** (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი), **ალექსანდრე კუხიანიძე** (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი), **ანასტასია ქიტიაშვილი** (ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი), **მარინე ზაუტაშვილი** (პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი), **ნათელა ანანიაშვილი** (რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი), **ზურაბ ცაგარელი** (ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი), **ავთანდილ ამირანაშვილი** (მიხეილ ნოდიას გე-

**გაგრძელება მე-2 გვ.**

## უნივერსიტეტმა სენატის ახალი წევრები აირჩია

თსუ-ში წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) არჩევნებზე გამარჯვებულები გამოვლინდნენ. რეგისტრირებული 44 კანდიდატიდან არჩეულია სენატის 33 ახალი წევრი, აქედან – 12 სტუდენტი, და 21 აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი. ამომრჩეველთა აქტივობამ 10 % შეადგინა.

თსუ შვიდ ფაკულტეტსა და 14 სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში იყო 21 საარჩევნო უბანი და 28 781 ამომრჩეველი. თსუ სენატის არჩევნებს 3 არასამთავრობო ორგანიზაციის („საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია", „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", „სამოქალაქო საზოგადოების განათლებისა და განვითარების ცენტრი") წარმომადგენლები და დამოუკიდებელი დამკვირვებლები აკვირდებოდნენ.

არჩევნები „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონსა და თსუ წესდებაში შესული ცვლილებების თანახმად ტარდება. ცვლილებების შესაბამისად სენატის შემადგენლობა განისაზღვრა 74 წევრით, თსუ აკადემიური საბჭოს შემადგენლობის არანაკლებ 36 წევრით (ორჯერ მეტისა).

სენატის არჩევნები თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) შემადგენლობაში ფაკულტეტების წარმომადგენლების რაოდენობის ზრდის, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების წარმომადგენლების შეყვანისა და ვადამდე უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრების ნაცვლად, ახალი წევრების არჩევის მიზნით გაიმართა.

**გაგრძელება მე-2 გვ.**

## თსუ კანცლერის ასარჩევად ხელახალი კონკურსი გამოცხადდება

***ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, კანცლერის თანამდებობაზე კონკურსი ხელახლა გამოცხადდება.***

19 ივლისს კანცლერობის კანდიდატებს აკადემიურ საბჭოში გასაუბრება ჰქონდათ, გასაუბრების დასრულების შემდეგ კი, წესის მიხედვით, კენჭისყრა ორ კანდიდატს შორის უნდა ჩატარებულიყო. კენჭისყრის შედეგების მიხედვით, ნუნუ ოვსიანიკოვასა და შოთა ჭანტურიძეს შორის ხმები თანაბრად გადანაწილდა. დაინიშნა მეორე ტური, სადაც ხმები ისევ 18-18-ზე გაიყო.

წესის მიხედვით, ასეთ დროს კონკურსი განმეორებით ცხადდება.

ამ დროისთვის უცნობია, როდის დაიწყება ახალი პრეტენდენტებისთვის საბუთების მიღება, თუმცა თსუ-ში განმარტავენ, რომ კონკურსში განმეორებით მონაწილეობა იმ კანდიდატებსაც შეუძლიათ, ვინც 18-19 ივლისის არჩევნებში მონაწილეობდა.

შეგახსენებთ, რომ თავდაპირველად ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსში 6 კანდიდატი იღებდა მონაწილეობას, მათგან ორმა მონაწილემ კანდიდატურა გუშინ მოხსნა, საბოლოოდ კი აკადემიურმა საბჭომ 4 კონკურენტს ჩაუტარა გასაუბრება.

მოქმედი წესის მიხედვით, აკადემიური საბჭოს მიერ ხმათა უმრავლესობით უნდა არჩეულიყო ერთი კანდიდატი, რომელიც შემდეგ სენატს დასამტკიცებლად წარუდგებოდა.

## თსუ სტუდენტები აწყურის არქეოლოგიურ გათხრებზე

***არქეოლოგიური გათხრები აწყურში, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის ვახტანგ ლიჩელის ხელმძღვანელობით, თითქმის 20 წლის წინ დაიწყო და დღემდე გრძელდება. ამ ეტაპზე აწყურის გათხრებში თსუ არქეოლოგიის მიმართულების მაგისტრანტები მონაწილეობენ. სულ ცოტა ხნის წინ წარმოებული გათხრებისას ექსპედიციის მონაწილეებმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აღმოჩენა გააკეთეს.***

პროფესორ ლიჩელის თქმით, აწყურის მნიშვნელობის შესახებ ჯერ კიდევ ძველი ქართული ქრონიკის – „ქართლის ცხოვრების" ჩანართშია მოთხრობილი, სადაც საუბარია ანდრია პირველწოდებულის მოღვაწეობის შესახებ კოლხეთსა და სამცხეში, კერძოდ, აწყურში. თითქმის ოცი წლის წინ, აწყურში არქეოლოგიური გათხრების საფუძველი სწორედ წერილობითი წყაროებიდან ამოღებული მინიშნებები გახდა. კვლევების მიზანი წერილობითი ცნობების არქეოლოგიური თვალსაზრისით შემოწმება იყო. კერძოდ, ქალაქის, სადაც ცხოვრობდა ამ მხარის მმართველი (ანუ აწყური, როგორც ადმინისტრაციული ცენტრი), აგრეთვე ციხის (საიდანაც იხილეს ხატის ნათელი), ელინისტური გავლენა (აპოლონის და არტემიდეს ტაძარი) და ეკლესიისა.



**გაგრძელება მე-3 გვ.**

### როცა წინაღობებს არ უშინდები

გურანდა ჯამათაშვილი ერთ-ერთი მათგანია, ვინც საკუთარი მაგალითით ამტკიცებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობა არ არსებობს და თუ მოინდომებ, საქართველოში არსებულ საკმაოდ შეზღუდულ გარემოშიც კი, რთული მიზნების მიღწევა შეგიძლია. ის პირველი მეცნიერებათა დოქტორია, რომელმაც ბოლო პერიოდში თსუ-ში დისერტაცია დაიცვა ისე, რომ მხედველობასთან დაკავშირებულ პრობლემებს არ შეუშინდა. დღეს იგი საკუთარ გამოცდილებაზე თავად საუბრობს.

გვ. 3

### „პლანეტა რიდმორი"-ს გამარჯვებული



გვ. 4

### საზაფხულო დასაქმების კამპანია



გვ. 3

### თსუ-ს კალათბურთის გუნდი სტუდენტური ლიგის ჩემპიონი გახდა



გვ. 4

### თსუ-ს ფუტსალის გუნდი ევროპის ჩემპიონთა ლიგაზე



გვ. 4

# თსუ აკადემიური საბჭოს არჩევნები

*პირველი გვერდიდან*

ოფიზიკის ინსტიტუტი), ***ერეკლე გამყრელიძე*** (ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი), ***თამაზ ყარალაშვილი*** (ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი), ***მურმან კვინიკაძე*** (კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი), ***ნუგზარ შავლაყაძე*** (ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი), ***ნოდარ ცინცაძე*** (ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი), ***გაგა ლომიძე*** (შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი), ***დავით მერკვილაძე*** (ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი), ***მედეა ღლონტი*** (არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი), ***გოჩა ფერაძე*** (თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი), ***მამუკა ხუსკივაძე*** (პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი)“.

თსუ-ში ოცდაერთი საარჩევნო უბანი 17.00 საათზე დაიხურა. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გიორგი ჩაკვეტაძის ინფორმაციით, 1636 ამომრჩევლიდან არჩევნებში 1266-მა მიიღო მონაწილეობა, რაც ამომრჩეველთა სრული შემადგენლობის 77 პროცენტია. თსუ საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, არჩევნების პროცესს არასამთავრობო ორგანიზაციების („ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „ახალგაზრდა ადვოკატები“) წარმომადგენლები და დამოუკიდებელი დამკვირვებლები აკვირდებოდნენ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ წარმომადგენლის გიორგი ჯოჯუას განცხადებით, არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ წარმომადგენლები აქტიურად ადევნებდნენ თვალს არჩევნების პროცესს. არჩევნები მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, ადგილი არ ჰქონია არც ერთ ექსცესს, არც ერთი შენიშვნა და საჩივარი არ შემოსულა.“

აკადემიური საბჭოს წევრთა დამატებითი არჩევნები აკადემიურ საბჭოს შემადგენლობაში ფაკულტეტის წარმომადგენლების რაოდენობის ზრდისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენლების შეყვანის მიზნით გაიმართა. „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებებისა და უნივერსიტეტის წესდებაში შეტანილი ცვლილებების თანახმად, თსუ აკადემიური საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრა 36 წევრით. არსებული აკადემიური საბჭოს შემადგენლობას დაემატა 7 ფაკულტეტიდან და 14 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან თითო-თითო წარმომადგენელი.

აკადემიური საბჭოს ახალი 21 წევრი 1636-მა ამომრჩეველმა (აკადემიური პერსონალი, სამეცნიერო პერსონალი, საფაკულტეტო საბჭოების წევრი სტუდენტები) აირჩია. აკადემიური საბჭოს წევრობაზე რეგისტრაცია 36-მა კანდიდატმა გაიარა. კენჭისყრის პროცედურა შვიდივე ფაკულტეტსა და თოთხმეტივე სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში არსებულ საარჩევნო უბნებზე (სულ 21 უბანი) გაიმართა.



# უნივერსიტეტმა სენატის ახალი წევრები აირჩია

*პირველი გვერდიდან*

არჩევნებში მონაწილეობას დამოუკიდებელ და თვითმმართველობის კანდიდატებთან ერთად, სტუდენტური მოძრაობა „აუდიტორია 115“-ის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატებიც იღებდნენ. ჩვენ დღეს სხვადასხვა სტუდენტური ჯგუფიდან არჩეული ორი კანდიდატის ინტერვიუს შემოგთავაზებთ:



***თორნიკე შევარდნაძე,***
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

***— რატომ გადაწყვიტეთ მონაწილეობის მიღება სენატის არჩევნებში?***

— სენატის არჩევნებში მონაწილეობა უპირველესად ერთმა მთავარმა ფაქტორმა განაპირობა - ცვლილებების აუცილებლობამ და სურვილმა. ის სტუდენტები, რომლებიც დღეს „აუდიტორია115-ის“ ქვეშ ვერთიანდებით, წლებია ვიბრძვით ცვლილებებისთვის. მანამ, სანამ აუდიტორია საერთოდ შეიქმნებოდა, მაშინაც ჩვენი ბრძოლა ცვლილებებისთვის სისტემატური იყო. ბოლო თვეების განმავლობაში დავამტკიცეთ, რომ შეგვიძლია ყველა საშუალებით ბრძოლა თანაბრად — ქუჩის აქტივიზმით თუ საარჩევნო ურნებთან ბრძოლის გზით. ვფიქრობ, ამაში არის ჩვენი სიძლიერე. სტუდენტური თვითმმართველობის წევრები, ხშირად გვეუბნებოდნენ, რომ ჩვენ არჩევნებში ვმარცხდებოდით და ამიტომ ვირჩევდით აქციების გზას. ამ არჩევნებმაც აჩვენა, რომ ეს ასე არ არის და 6 დასახელებული კანდიდატიდან 4-ის გამარჯვება შევძელით, მათ შორის 3 — პირველ ადგილოსანია.

სამწუხაროდ, დღეს სტუდენტების უმრავლესობამ, სენატის არათუ ფუნქციები, ისიც კი არ იცის, რომ სენატი მონაწილეობას იღებს უნივერსიტეტის წესდების, შინაგანაწესისა და ეთიკის კოდექსის დამუშავებასა და დამტკიცებაში, რომელიც ხშირად ირღვევა სტუდენტებისა თუ აკადემიური პერსონალის მხრიდან ქსენოფობიური, სექსისტური თუ ჰომოფობიური გამოვლინებების შედეგად; რომ სენატი განიხილავს და განკარგავს უნივერსიტეტის ბიუჯეტს, განსაზღვრავს პრიორიტეტებს და ა.შ. სამწუხაროდ, ზოგიერთმა მათგანმა საერთოდ არ იცის ამ ორგანოს არსებობის შესახებ უნივერსიტეტში. ეს დაკავშირებულია იმ ათეულობით სტუდენტის პასიურობასთან, რომლებიც წლების განმავლობაში სტუდენტური თვითმმართველობის კვოტით აკომპლექტებდნენ წარმომადგენლობით ორგანოს.

სენატი წლების განმავლობაში მოგვევლინა ჩაკეტილ, ელიტურ წარმომადგენლობით ორგანოდ, რომელშიც ერთსა და იმავე ადამიანებს ვხედავდით მუდამ და არავინ იცოდა, რა საკითხებს განიხილავდა ორგანო.

ერთ-ერთი მთავარი მოტივაცია, რატომაც გადავწყვიტე არჩევნებში კენჭისყრა, იყო სწორედაც ამის გამოსწორების სურვილი. ვაპირებ მუდმივად გავმართოთ საჯარო შეხვედრები უნივერსიტეტში, მუდმივად გავავრცელოთ სენატის სხდომების ანგარიშები და მაქსიმალურად ჩავრთოთ სტუდენტობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რითაც მოხდება უნივერსიტეტის მართვის მეტი დემოკრატიზაცია და გამჭირვალობის ზრდა.

***— რა სჭირდება თქვენი აზრით, უნივერსიტეტს და სტუდენტობას პირველ რიგში?***

— უნივერსიტეტში პრობლემები მრავლადაა, ამას თავისი საკუთარი სიღრმისეული საფუძვლები გააჩნია. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც უნივერსიტეტის წინაშე დგას — ფინანსური პრობლემაა. დღეს უნივერსიტეტი არსებობს მხოლოდ და მხოლოდ სტუდენტის მიერ გადახდილი თანხით, რის გამოც, ფაქტობრივად, იგი არაფრით განსხვავდება კერძო უნივერსიტეტისაგან.

სამწუხაროდ, უნივერსიტეტი სახელმწიფოსგან საბიუჯეტო დაფინანსებას არ იღებს, რის გამოც უნივერსიტეტში გაჩერებულია მეცნიერული საქმიანობა, პრაქტიკული სამუშაოები და მძიმე მდგომარეობაშია უნივერსიტეტის მატერიალურ-ინფრასტრუქტურული მხარე. ამის ფონზე, სამწუხაროდ, უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში ცოტა ადამიანი თუ მოიძებნება, რომელიც ამას ხმამაღლა იტყვის — ხმამაღლა მოითხოვს სახელმწიფოსგან პირდაპირ საბიუჯეტო დაფინანსებას. სამწუხაროდ, ამასთან დაკავშირებით მათი სტატუსი და თანამდებობები სტუდენტური თვითმმართველობის წევრებსაც არასოდეს გამოუყენებიათ. ჩვენ, რასაც ვაპირებთ უკვე სენატში შესვლის შემდეგ, ეს არის სენატორის სტატუსის გამოყენება იმისთვის, რომ ეს საკითხი გავხადოთ უფრო აქტუალური უნივერსიტეტის შიგნით თუ გარეთ. ჩვენ ამითი გვეძლევა უფრო მეტი საშუალება, უფრო მაღალი ტრიბუნიდან სახელმწიფოს მოვთხოვოთ მეტი სოციალური პასუხისმგებლობა განათლებაში.

***— თქვენ რას შეცვლით და როგორ აპირებთ თქვენი მიზნების განხორციელებას?***

— უპირველესად, რაც ჩემი არჩევნის შემდეგ შეიცვლება სენატში და უნივერსიტეტში, არის ის, რომ სენატი გახდება ანგარიშვალდებული უნივერსიტეტის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ. მე და ჩემი მეგობრები ვაპირებთ: 1. მუდმივად გავავრცელოთ მნიშვნელოვანი სხდომების ანგარიშები, ტრანსკრიპტები სოციალურ ქსელებითა და ყველა სხვა საკომუნიკაციო გზებით; 2. გარდა ამისა, მუმივად გაიმართება საჯარო შეხვედრები სტუდენტებთან, სადაც მათ მიერ დაყენებული მოთხოვნებისა და ინიციატივების მოსმენის შემდეგ, შესაძლებელი იქნება ამ საკითხების სენატის ფორმატში გატანა; 3. ასევე, მუდმივად მოხდება უნივერსიტეტის ბიუჯეტისა და სხვა საკითხების ფართო საუნივერსიტეტო საზოგადოებასთან ერთად განხილვა, რითაც ჩვენ გავზრდით ანგარიშვალდებულებას, ერთი მხრივ, და სტუდენტების თანამონაწილეობას, მეორე მხრივ.

ჩემი და ჩემი მეგობრების საარჩევნო პროგრამა, პირობითად სამ სიტყვაში შეიძლება გავაერთიანოთ: გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და თანამონაწილეობა — სწორედ ამის დეფიციტი იყო წინა მოწვევის სენატებში და სწორედ ამის რეალიზაციისკენ იქნება ჩემი საქმიანობაც მიმართული.



***ტარიელ გაგელიძე,***
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

***— რატომ გადაწყვიტეთ მონაწილეობის მიღება სენატის არჩევნებში?***

— ბოლო პერიოდში უნივერსიტეტში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე გადავწყვიტე მიმეღო მონაწილეობა თსუ-ს უმაღლესი წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) არჩევნებში, რადგან მთელი ამ პერიოდის განმავლობაში თავი იჩინა ისეთმა პრობლემებმა, რომელთა მოგვარებაც უნივერსიტეტისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და ამასთან მიმაჩნია, რომ კონსტრუქციული საუბარი და დიალოგის რეჟიმი მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე ის რადიკალური ზომები, რომლითაც იყო მცდელობა, მოგვარებულიყო რიგი პრობლემები.

უკვე მესამე წელი სრულდება, რაც თსუ--ის სტუდენტი ვარ და საკმაოდ აქტიურად ვსაქმიანობ სტუდენტურ თვითმმართველობაში, ყოველდღიურ რეჟიმში ვეცნობი ყველა იმ პრობლემას, რომლის წინაშეც დგანან სტუდენტები და მაქსიმალურად ვცდილობ მოვნახო ის გზები, რომლითაც შესაძლებელია ამ პრობლემებზე სათანადო რეაგირება. ჩემი სურვილი, ვყოფილიყავი სტუდენტთა წარმომადგენელი, სენატის შემადგენლობაში, ემსახურება მთავარ მიზანს, ისმოდეს სტუდენტების ხმა და მაქსიმალურად იქნას დაცული სტუდენტთა უფლებები.

***— რა სჭირდება თქვენი აზრით, უნივერსიტეტს და სტუდენტობას პირველ რიგში?***

— მოგეხსენებათ, რომ თსუ-ში უამრავი სტუდენტია, რომელთაც ფინანსური პრობლემების გამო უჭირთ სწავლის საფასურის გადახდა და უწევთ სხვადასხვა ადგილას მუშაობა. საბოლოო ჯამში კი, სამუშაოზე დახარჯული დრო და ენერგია აისახება მათი განათლების ხარისხზე, შესაბამისად საუნივერსიტეტო საზოგადოებამ მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ, რომ ხელი შევუწყოთ ასეთ სტუდენტებს, რათა სტუდენტის უპირველესი მოვალეობა, განათლების მიღება, იყოს ხელმისაწვდომი.

გარდა შეჭირვებული სტუდენტებისა თსუ-ში მრავლად არიან სტატუსშეჩერებული სტუდენტები, რომელთა დაფინანსება ვერ ხერხდება, რადგან არ არსებობს მექანიზმი ამ სტუდენტებს შორის პრიორიტეტების გამოყოფისა და შერჩევისა, შესაბამისად, საკითხი წლების მანძილზე გადაწყვეტის გარეშეა.

მე და ჩემს თანაგუნდელებს ბოლო დროინდელმა პროტესტმა სტუდენტური თვითმმართველობის მიმართ დაგვანახა ჩვენი საქმიანობის ხარვეზები, რომელთა შორისაც პრიორიტეტად მესახება ზემოთ აღნიშნული პრობლემა. სწორედ ამიტომ, ჩვენ მოფიქრებული გვაქვს ხსენებული საკითხის გადაჭრის რამდენიმე გზა, რომელსაც აუცილებლად შევთავაზებთ საუნივერსიტეტო საზოგადოებას და წარმომადგენლობით საბჭოსთან ერთად ვეცდებით, რომ ავარჩიოთ ერთ-ერთი მოდელი, შევუსაბამოთ საქართველოს კანონმდებლობას და გადავწყვიტოთ სტუდენტების სასარგებლოდ.

***— თქვენ რას შეცვლით და როგორ აპირებთ თქვენი მიზნების განხორციელებას?***

— სამწუხაროდ, წარმომადგენლობითი საბჭო დღემდე ასოცირდებოდა მხოლოდ შემოთავაზებულ წინადადებებზე გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოდ და სტუდენტების მხრიდან ნაკლებად იყო შეთავაზებული ინიციატივები, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა სტუდენტური პრობლემების მწვავედ დასმა. გარდა ამისა, მინდა აღვნიშნო, რომ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო არ არის ადგილი ურთიერთობების გარკვევისა იმის მიხედვით, თუ რომელ ორგანიზაციას თუ ინსტიტუციას წარმოადგენენ სენატის წევრი სტუდენტები. სტუდენტების ხმა სწორედ მაშინ არის ძლიერი, როდესაც ისინი შეთანხმებულად და კოორდინირებულად მოქმედებენ.

შესაბამისად, შევეცდები, რომ განურჩევლად იმისა არის თუ არა კონკრეტული სტუდენტი სტუდენტური თვითმმართველობის წევრი, მქონდეს მაქსიმალური კომუნიკაცია და კოორდინირებულად ვიმოქმედო მათთან ერთად.

სამწუხაროდ, სტუდენტების უმრავლესობამ არ იცის უნივერსიტეტში ინსტიტუციების, მათ შორის სენატის, არსებობის შესახებ, რაც დამეთანხმებით, რომ არის პრობლემა. აქედან გამომდინარე, საჯარო შეხვედრებისა და სტუდენტებთან მუდმივი კომუნიკაციის რეჟიმში შევეცდები დავანახო სტუდენტურ საზოგადოებას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათი ჩართულობა უნივერსიტეტის მართვაში.

# თსუ სტუდენტები აწყურის არქეოლოგიურ გათხრებზე







გათხრები მტკვრის ორივე ნაპირებზე ჩატარდა. დადგინდა, რომ უძველესი მოსახლეობა აქ, ჯერ კიდევ, ძვ.წ. XVI საუკუნეში მოსულა. ორი სამარხიდან ერთში სხვადასხვა ასაკისა და სქესის 62 მიცვალებული აღმოჩნდა, ხოლო მეორეში – მხოლოდ ოთხი. ამავე სამარხებში აღმოჩნდა დიდი რაოდენობით ბრინჯაოს ნივთები, ოქროს სამკაული და კერამიკული ნაწარმი (მათ შორის ისეთიც, რომელსაც ანალოგი არა აქვს კავკასიაში, თუმცა ადგილობრივი თიხისაგანაა დამზადებული). ამ პერიოდში აქ თავს იყრის ნაწარმი ისეთი შორეული ქვეყნებიდან, როგორიცაა აქემენიდური ირანი, კონტინენტური საბერძნეთი და ეგვიპტე.

რაც შეეხება I საუკუნის ციხის არსებობას. ციტადელის სამხრეთი კედლის ქვედა დონეზე არსებული ქვიშაქვის კვადრების წყობის მეშვეობით დადგინდა, რომ შუა საუკუნეების ციხის ციტადელი სწორედ I საუკუნის კედლებზეა დადგმული.

როგორც ექსპედიციის უცვლელი ხელმძღვანელი ვახტანგ ლიჩელი განმარტავს, „დღემდე მიუკვლეველია ელინისტური ხანის ტაძარი, რისი ახსნაც მარტივად შეიძლება: ტრადიციულად, ქრისტიანული ტაძრები შენდებოდა იმ ადგილზე, სადაც მანამდე წარმართული ტაძარი იდგა. ამდენად, აწყურის ღვთისმშობლის ტაძრის მშენებლობის დროს აპოლონისა და არტემიდეს ტაძარი, საფიქრებელია, მთლიანად განადგურდა. ბერძნულ/ელინისტური კულტურის და ამ კულტურის ამსახველი ტაძრის სამცხეში არსებობა დასტურდება ნაქალაქარის აღმოსავლეთ ნაწილში მიკვლეული სამარხით, რომელშიც ბერძნული ტრადიციის მიხედვით დაკრძალული მიცვალებული აღმოჩნდა“.

აწყურის კვლევაში განსაკუთრებით ინტენსიურად უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორები 2006 წლიდან ჩაერთვნენ, როდესაც კიდევ უფრო გაღრმავდა ურთიერთობები თსუ პარტნიორებთან, ნიუნბერგის ბუნებისა და ისტორიის საზოგადოებასთან. გრაკლიანის გორის აღმოჩენამდე სწორედ აწყური იყო სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების პრაქტიკის ძირითადი ცენტრი.

თვით აწყურის კათედრალი ქართული არქიტექტურის ისეთ შედევრებს შორის მოიაზრება, როგორებიცაა სვეტიცხოველი, ბაგრატის ტაძარი და ალავერდი. მის ინტერიერში ჩატარებული გათხრებისას აღმოჩნდა სრულიად განსაკუთრებული გულსაკიდი ხატი, ტიხრული მინანქრით შემკულ ოქროს ჩარჩოში ჩასმულია იასპის ქვა. ქვაზე უზადო ხელოვნებითაა ამოკვეთილი ჯვარცმის სცენა (XII-XIII სს-ბი).

გასულ წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით და საქართველოს კულტურული მემკვიდროების დაცვისა და გადარჩენის ფონდის სრული დაფინანსებით, გადაწყდა აწყურის კათედრალური ტაძრის რესტავრაცია. რესტავრაციის დაწყებასთან დაკავშირებით განახლდა სამუშაოები, რომლის შედეგად ინტერიერში კვლავ აღმოჩნდა ადრეული შუა საუკუნეების რამოდენიმე შენობის ნაშთი. მათი ნაწილი საერო დანიშნულებისაა, ტაძრის გარშემო კი გაითხარა რამოდენიმე ათეული სამარხი, რომლებიც ტაძრის ფუნქციონირების ხანას ემთხვევა.

რაც შეეხება არქეოლოგების ბოლო აღმოჩენას, ვახტანგ ლიჩელის თქმით, განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა კათედრალის დასავლეთით ჩატარებული კვლევის შედეგი: „გამოვლინდა თლილი ქვით ნაგები ეკლესიის აღმოსავლეთი ნაწილი, რომლის ჩრდილო მხარეში, როგორც ჩანს, სამკვეთლოა (მაგიდა სადაც ზიარებისთვის მზადდება პური და ღვინო) გამართული. სრულიად აშკარაა, რომ საქმე გვაქვს აქამდე უცნობ მასშტაბურ ნაგებობასთან, რომლის აღმოსავლეთ ფასადზე ჩადგმულ ქვაზე იკითხება ქართული ასომთავრული წარწერა: „ქრისტე, შეიწყალე გიორგი ეპისკოპოსი მირეანის ძე”.- ასე წაიკითხეს წარწერა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორებმა, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა გიორგი გაგოშიძემ და საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფონდების წარმომადგენელმა ელენე კავლელაშვილმა. მათი აზრით, წარწერა IX-X საუკუნეებს განეკუთვნება და წარწერაში მოხსნიებულია ერთ-ერთი მაწვერელ ეპისკოპოსთაგანი“.

გათხრები თვის ბოლოდან განახლდება და მათ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვისა და გადარჩენის ფონდი დააფინანსებს.



# როცა წინაღობებს არ უშინდები

*პირველი გვერდიდან*



„დოქტორანტურისკენ მიმავალი ჩემი გზა ავლაბარში მდებარე უსინათლო სკოლა-ინტერნატიდან იწყება, მაშინ ასე ერქვა ახლა, კი 202-ე სკოლა პანსიონია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1992 წელს დასავლეთ ევროპის ფაკულტეტზე ჩავაბარე და 1997 წელს ინგლისური ენის ლიტერატურის სპეციალობით დავამთავრე. რამდენიმე წელი პაუზა მქონდა და უკვე 2002 წლიდან სკოლაში, რომელიც დავამთავრე, მუშაობა დავიწყე. თავდაპირველად, წრის ხელმძღვანელი ვიყავი, 2008 წლიდან უკვე მასწავლებელი ვარ.

2010 წელს დოქტორანტურაში ჩავაბარე განათლების მეცნიერებების ფაკულტეტზე, ახლა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტია და გასულ კვირას დავამთავრე.

ჯერ კიდევ, ბაკალავრიატზე ჩაბარების პროცესში, ძალიან ბევრი პრობლემა და სირთულე არსებობდა,რთული იყო მისაღები გამოცდების ჩაბარება, მჭირდებოდა ვინმე, რომელიც წამიკითხავდა და მიკარნახებდა მასალას. ამიტომ გამოცდებზე კარგი შედეგები ვერ ვაჩვენე.

უშუალოდ სწავლის პროცესში, განსაკუთრებით, ბევრ პრობლემას წავაწყდი. ბრაილის შრიფტით არაფერი იბეჭდებოდა, მასალა არ არსებობდა. მაშინ ქსეროქსიც კი არ იყო, გვქონდა ერთი ხელნაწერი კონსპექტი და იმით ვმეცადინეობდით მე და ჩემი ჯგუფელები ლექციებისთვისაც და გამოცდებისთვისაც. ისინი ძალიან მეხმარებოდნენ. სწორედ მიზეზით არ ვიყავი კმაყოფილი, რადგან ვთვლიდი, რომ მეტი შემეძლო.

სკოლაში, სადაც ვასწავლი, სერიოზული პრობლემები ბოლო ორი წელია მოგვარდა. სახელმწიფომ ყველა საგანში დაგვიბეჭდა წიგნები. ადრე, ფაქტობრივად, წიგნებს ჩვენ ვწერდით. დაახლოებით, ორი წელია რაც სახელმწიფომ დაბეჭდა წიგნები მანამდე ხელით ვწერდით სახელმძღვანელოებს. ახლა კომპიუტერი გვაქვს, სადაც ჩაწერილია ხმოვანი პროგრამები და ეს ბევრად გვიმარტივებს სწავლების პროცესს.

რაც შეეხება, დოქტორანტურას, ჩაბარების პროცესში სირთულე შემიქმნა შიდა გამოცდებმა, რომელიც დღემდე მოუგვარებელია. მაგალითად, მე მომიწია ინგლისურის B2 დონის ჩაბარება ზეპირად, სადაც არათანაბარ პირობებში ვიყავი იმათთან, ვინც ტესტს წერდა. ჩემზე მეტი ქულები მიიღეს მათ, ვისაც ჩემზე ნაკლები ცოდნა ჰქონდა,რადგან როდესაც გამოცდა ზეპირია და კითხვებს გისვამენ, ბუნებრივია, რაც არ უნდა დიდი გამოცდილება ჰქონდეს სპეციალისტს, მაინც დამთრგუნველია.

დისერტაციის წერა, მიუხედავად იმისა, რომ ჩემით ავკრიფე ტექსტი და მოვიძიე მასალები, ძალიან გამიჭირდა. არ არის შესაბამისი წიგნების ელექტრონული ვერსიები, არ გვაქვს წვდომა საერთაშორისო ბაზებთან. ლიტერატურა დამჭირდა ისეთი, რომელიც ბიბლიოთეკაში კი არის, მაგრამ იქ მჭირდება გვერდით ვინმე, ვინც მიკარნახებდა.

მე ვიცი, რომ სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებში არსებობს სპეციალური სამსახურები, რომლებიც ტექნიკურ მხარეებს უგვარებს სტუდენტებს. მაგალითად, დაკაბადონების პროცესში ვიზუალურ ნიუანსებს მე თვითონ ვერ ვასწორებდი და სხვისთვის თხოვნა მიწევდა. გვაქვს ასევე, რეცენზიის თარგმანის პრობლემები. გვჭირდება ნოტარიუსით დამოწმება, იქ კი თარჯიმანი სწორად ვერ თარგმნის და ა.შ.

სწავლის პროცესი სასიამოვნო იყო, ფაკულტეტზე ძალიან კეთილგანწყობილები იყვნენ ჩემ მიმართ. დაცვის დღეს, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ვინერვიულე, ყველაფერმა კარგად ჩაიარა, რაც პირველ რიგში, ჩემი ხელმძღვანელის ქეთევან ჭკუასელისა და იმ ადამიანების დამსახურებაა, რომლებიც მისმენდნენ და სვამდნენ საინტერესო კითხვებს ჩემს ნაშრომთან დაკავშირებით.

ჩემი დისერტაციის თემა იყო უცხო ენის შესწავლის თავისებურებანი უსინათლო ბავშვებთან. თემაში მიმოვიხილე განათლების ისტორია, წარმოვადგინე თანამედროვე მოდელები, სადაც ჩანს თუ როგორი სერიოზული და პრიორიტეტულია სხვა ქვეყნებში ამ პრობლემების მოგვარება. გარდა ამისა, კვლევის პროცესში შემთხვევითი შესწავლის მეთოდი გამოვიყენე და შესაბამისი რეკომენდაციები გავეცი მასწავლებლებისთვის. დაცვის დღეს ყველაფერმა კარგად ჩაიარა, მე ძალიან მიყვარს ჩემი უნივერსიტეტი და მიუხედავად არსებული სირთულეებისა, ყოველთვის დიდი მიჯაჭვულობა მაქვს მასთან“.

# სიახლეები

* * *

18 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელს დარეჯან თვალთვაძეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარის ნოე რამიშვილის შვილიშვილი მიშელ რამიშვილი შეხვდა და თსუ ბიბლიოთეკასთან არსებულ „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემსწავლელ ცენტრ-ბიბლიოთეკას“ საჩუქრად გადასცა რამიშვილების ოჯახში დაცული მნიშვნელოვანი დოკუმენტები.

დოკუმეტებს შორის იყო ნოე რამიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მარო რამიშვილისათვის გაგზავნილი სამძიმრის წერილები, სულ 97 ერთეული. აღნიშნული წერილების ავტორები არიან საქართველოს დემოკრატიული მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრები (ნოე ჟორდანია, ევგენი გეგეჭკორი, აკაკი ჩხენკელი, სვიმონ მდივანი, ექვთიმე თაყაიშვილი, სვიმონ მდივანი და სხვ.), საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ლიდერები (პიერ რენოდელი და სხვ.), სომხეთის, აზერბაიჯანისა და მთიელთა რესპუბლიკების დევნილი მთავრობის წევრები (ალექსანდრ ხატისოვი და სხვ.), რუსი სოციალ-დემოკრატები, რუსეთის იმპერიიდან გადახვეწილი ემიგრანტები, ფრანგი საზოგადო მოღვაწეები და სხვ. წერილის ავტორთა შორისაა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი სტუდენტი მედეა ლამბაშიძე-ნიკოლაძისა.

გარდა სამძიმრის წერილებისა, გადმოსაცემ დოკუმენტებს შორის იყო ნოე რამიშვილის მკვლელობის შესახებ ქართულ ემიგრანტულ და საერთაშორისო პრესაში გამოქვეყნებული სტატიები. მიშელ რამიშვილმა შემსწავლელ ცენტრს ასევე გადასცა ნოე რამიშვილისა და მისი ოჯახის წევრთა 20 ფოტო.

*გაგრძელება მე-4 გვ.*

# საზაფხულო დასაქმების კამპანია



14 ივლისს სტუდენტური საზაფხულო დასაქმების კამპანიის პრეზენტაცია გაიმართა. იდეის თანახმად, კომპანია Fixall დაასაქმებს სტუდენტებს საზაფხულო სამუშაოზე და გამოიწვევს ორ პარტნიორ კომპანიას, რომლებიც იგივეს გააკეთებენ და საზაფხულო დასაქმების ჯაჭვს გააგრძელებენ.

პროექტის პარტნიორები არიან: Publicis Groupe, VIP Club, BMC Gorgia, Dio, Hotsale.

პროექტში მონაწილეობა ნებისმიერი უნივერსიტეტის ბაკლავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს შეუძლიათ. ამისთვის მათ უნდა შეავსონ განაცხადი, რომელიც Facebook გვერდზე დაიდება და დაადასტურონ შემდეგ ეტაპზე გადასვლის შესახებ მეილზე წერილის მიღება. შემდეგი ეტაპი გასაუბრებებია, რომელიც ონლაინ რეჟიმში ჩატარდება. სტუდენტებს დასჭირდებათ მიკროფონი და ვებკამერა, რათა დანიშნულ დროს საქართველოს ისტორიაში ყველაზე მასშტაბურ ონლაინ გასაუბრებების პროცესში ჩაერთონ.

გასაუბრებების პროცესს ცნობილი ადამიანები აკვირდებიან, რომლებიც პროექტის პოპულარიზაციას უწყობენ ხელს: ქრისტინე ბაგრატიონ-მუხრანელი, გიორგი ჯანელიძე, ნინო ზამბახიძე, ლელა ფირალიშვილი, ანდრო დადიანი, ნინო ნანიტაშვილი, ზურა გურიელიძე, კახა მაღრაძე და სხვები.

პროექტის პრეზენტაცია თსუ-ში გაიმართა, უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, დარეჯან თვალთვაძემ, მონაწილეებს წარმატებები უსურვა.

პროექტში ჩართვა აბსოლუტურად ყველა მსურველს შეუძლია.

FixAll SJC-ის დასაქმების ცხელი ზაფხული დაიწყო!

# სიახლეები

მე-3 გვ-დან

* * *

13 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სტუდენტური კონფერენცია თემაზე „თანამედროვე გამოწვევები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში". კონფერენციას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი მასპინძლობდა.

* * *

13 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმს სტუმრად ეწვია ემიგრაციაში მოღვაწე მეცნიერი, ისტორიკოსი-იკონოგრაფი, ანდრეი კორლიაკოვი.

2014 წელს მუზეუმში ვიზიტისას ა. კორლიაკოვმა მუზეუმს საჩუქრად გადასცა პარიზში გამოცემული ფოტოალბომი „რუსული ემიგრაცია 1917-1947", რომელშიც გამოქვეყნებულია ძველი ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლების უნიკალური ფოტომასალა. ამჟამად საჩუქრად ჩამოაქვს ცნობილი ქართველი ემიგრანტის ვასილ ჯორჯაძის მიერ შექმნილი ფერწერული ტილო „დედის პორტრეტი"

* * *

2016 წლის, 10-12 ივნისს, ლოპოტის ტბაზე თსუ იურიდიული ფაკულტეტისა და ქალაქ შპაიერის (გერმანია) ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა „საჯარო მმართველობის" კურსდამთავრებულთა საზეიმო ღონისძიება გაიმართა.

# თსუ-ს კალათბურთის გუნდი სტუდენტური ლიგის ჩემპიონი გახდა



საქართველოს ფუტსალის ლიგისა და სტუდენტური ფუტსალის ლიგაზე გამარჯვების შემდეგ, თსუ-ს კალათბურთის გუნდი სტუდენტური ლიგის ჩემპიონი გახდა. ფინალური შეხვედრა თსუ-სა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდებს შორის გაიმართა, სადაც თსუ-მ 66:52 დაამარცხა მოწინააღმდეგე.

კალათბურთის გუნდის კაპიტანი, გიორგი ფანცულაია, ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი:

თსუ-ს საკალათბურთო გუნდში ვირიცხები უკვე 4 წელია და წელს მერგო პატივი გავმხდარიყავი გუნდის კაპიტანი,რომელიც დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს.გამომდინარე იქიდან, რომ გუნდში უკვე 4 წელი გავატარე, გავიცანი ბევრი ახალი გუნდელი, დავმყარე ახალი ურთიერთობები, მქონდა ახალი გამოწვევები, დღეს ფაქტობრივად, ერთი ოჯახად ვითვლებით.

წლევანდელი ჩემპიონატი ჩატარდა საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის დახმარებით. ტურნირი გამოირჩეოდა უფრო მეტი დაძაბულობით,რადგან გასულ წლებთან შედარებით უფრო ძლიერი გუნდები ასპარეზობდნენ. 2014 წელს ახლოს ვიყავით გამარჯვებასთან, თუმცა ფინალურ შეხვედრაში სტუ-სტან წავაგეთ და დავიკავეთ მე-2 ადგილი,ხოლო 2015 წელს მე-3 ადგილი,წელს კი მოგვეცა შანსი რევანში აგვეღო სტუ-სთან წაგებული ფინალისთვის.

ფინალამდე უნდა გადაგველახა სეუ-ს ბარიერი,რომელიც ძალიან რთული აღმოჩნდა,თუმცა ჩვენი გუნდი ერთი მიზნისთვის იყო გასული მოედანზე, რამაც შედეგი არ დააყოვნა და ფინალში თამაშის უფლება მოვიპოვეთ. მთლიან ტურნირში სწორედ ამ გუნდის კარგ თამაშს გამოვყოფდი ჩემპიონატში.

ფინალის დღე ემოციურად დატვირთული იყო,თუმცა ყველას გვჯეროდა ჩვენი შესაძლებლობების და მხოლოდ გამარჯვებისთვის ვაპირებდით ბრძოლას ორმაგი მოტივაციით,თან ფიზიკურადაც საკმაოდ კარგად ვიყავით მომზადებული , რადგან მთელი სეზონის მანძილზე ვემზადებოდით ამ თამაშისთვის ,რაშიც უნივერსიტეტმაც შესაბამისი დახმარება გაგვიწია. შეგვიქმნა პირობები სავარჯიშოდ ,დარბაზი ,აღჭურვილობა, ფან-კლუბი, მარტივად რომ ვთქვათ ის გარემო, რაც საჭირო იყო წარმატებისთვის.

თამაში საკმაოდ დაძაბული გამოდგა ,რაც საბოლოო ჯამში ანგარიშზეც აისახა (66-52),ორივე გუნდი ბოლომდე ვიყავით მობილიზებულები ,თუმცა ის დღე ჩვენი აღმოჩნდა და ჩემპიონის ტიტულს და მედლებს დავეუფლეთ.

აღსანიშნავია ის ფაქტი რომ ტურნირის საუკეთესო მოთამაშე ასევე ჩვენი გუნდელი ილია ტაბაღუა გახდა.მომავალ წელს ჩვენი მიზანი იქნება ტიტულის დაცვა და იმედია ისევ შევძლებთ. აქვე ვისარგებლებ და მადლობას გადავუხდი მთელ კოლექტივს: გუნდის პრეზიდენტს გიორგი ხარჯევანიძე, გუნდის მენეჯერს გიორგი დოლბაია, მთავარს მწვრთნელს გიორგი ჩხეიძე და გუნდის ექიმს არსენ კვანტალიანი.

# პლატფორმა უნივერსიტეტის რეფორმირებისთვის

გასული თვის ბოლოს თსუ აკადემიური საბჭოსა და უწყვეტი განათლების ცენტრის ინიციატივით საუნივერსიტეტო განათლების სისტემაში რეფორმებისათვის პლატფორმას ჩაეყარა საფუძველი. მასში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია ბევრმა გაიარა და რამდენიმე შეხვედრაც შედგა. რა შედეგი მოჰყვა, ამ დროისთვის, აღნიშნულ ინიციატივას? ამის თაობაზე უწყვეტი განათლების ცენტრის თანამშრომელი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი, გიორგი გრიგოლაშვილი გვესაუბრა.

***— კიდევ ერთხელ რომ დავაკონკრეტოთ, თუ რას გულისხმობს პლატფორმის იდეა და რა მიზნით შეიქმნა იგი?***

— ზოგადად პლატფორმის ჩამოყალიბების და შექმნის მიზეზი სახელმწიფო უნივერსიტეტში განვითარებული მოვლენები იყო. სტუდენტებს ჰქონდათ გარკვეული პრეტენზიები, ზოგს ობიექტიური და ზოგს სუბიექტური. ვფიქრობ, ეს იყო უნივერსიტეტის სწორი პოზიცია - ყველა დაინტერესებული მხარისთვის, ვისაც აქვს სურვილი და მოწოდება შეცვალოს უნივერსიტეტი უკეთესობისკენ, მიეცა ერთიან პლატფორმაზე მსჯელობის საშუალება. სასიხარულო იყო ის, რომ როდესაც რეგისტრაციის პროცესი მიმდინარეობდა, მონაწილეობის მისაღებად დარეგისტრირდნენ, როგორც სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები და მხარდამჭრები, ისე სხვადასხვა სტუდენტური ჯგუფების წარმომადგენლები, რომლებიც ამ ბოლო დროს აქტიურად გამოხატავენ თავის პოზიციას. გარდა ამისა, ის სტუდენტები, რომლებიც არ წარმოადგენენ რომელიმე ჯგუფს, მაგრამ აქვთ თავისი ხედვა რაღაც საკითხებთან დაკავშირებით.

***— მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისთვის სულ რამდენიმე შეხვედრა გაიმართა, რამდენადაც ვიცი არის პრინციპები, რომლებზეც უკვე მეტ-ნაკლებად შეჯერდით.***

— საუბარი იყო უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში სტუდენტების მონაწილეობის ფორმებზე მოქმედი კანონმდებლობისა და წესდების შესაბამისად; განიხილებოდა სტუდენტების აქტივობებისა და პროექტების განსახორციელებლად დაფინანსების განაწილების საკითხები. როგორც გახსოვთ, წინა პერიოდში სერიოზული მღელვარების მიზეზი გახდა ის, თუ რამდენად სამართლიანად ხდებოდა სტუდენტებისათვის გათვალისწინებული თანხის განაწილება. შემდეგი შეხვედრები დაეთმობა დაფინანსების გადასანაწილებლად კონკრეტული მოდელების განსაზღვრას. გარდა ამისა, შევთანხმდით იმაზე, რომ ყველა მნიშვნელოვანი საკითხი უნდა გადაწყდეს არა ძალის დემონსტრირებით, არამედ დიალოგის გზით, პოზიციების შეჯერებით.

***— თუ არის განსაზღვრული კონკრეტული თარიღი, რომლისთვისაც პლატფორმაში ჩართული ჯგუფის მიერ შედეგები, რეკომენდაციები უნდა დაიდოს?***

— არა გვაქვს იმის ფუფუნება, რომ ეს პრინციპები ვადაში გავჭიმოთ. რადგან ჩვენ ჯერ კიდევ წინ გვაქვს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოს არჩევნები, წინ გვაქვს ახალი სასწავლო წელი. ვფიქრობ, სექტემბრისათვის „დრაფტი" ვარიანტი მაინც უნდა გვქონდეს იმისა, თუ რის გაკეთებას ვაპირებთ წლის განმავლობაში. შეიძლება საქმე თავის მოცულობით ერთ კი არა, რამდენიმე წელიწადზეც კი გაიწელოს, მაგრამ ძირითადი ხედვა, მონახაზი გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს შემოდგომისთვის უნდა მივაწოდოთ. ბუნებრივია, ამას რეკომენდაციის სახე ექნება და არა სავალდებულო, რადგან ჩვენ არა ვართ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო. ეს იქნება რეკომენდაცია ალბათ უფრო სენატისთვის, სადაც სტუდენტები, პროფესორები და ადმინისტრაციის თანამშრომლები არიან წარმოდგენილი.

# „პლანეტა რიდმორი"-ს გამარჯვებული: „ყველანაირ წიგნებს ვკითხულობ, ყველა ჟანრის, ეპოქის, კულტურის წარმომადგენელი ავტორები მაინტერესებს"



შემეცნებითი პროექტი „პლანეტა რიდმორი" დასრულდა. პროექტის გამარჯვებული ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი ნათია გოგიჩაიშვილი გახდა. მან კონკურსის ფინალში ყველაზე მეტი – 48 ქულა მოიპოვა. გამარჯვებულს გამომცემლობის „წიგნები ბათუმში" მიერ დაწესებული მთავარი პრიზი – 1000 ლარი გადაეცა.

პროექტის იდეა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ეკუთვნით და მას უნივერსიტეტი და გამომცემლობა „წიგნები ბათუმში" ერთობლივად ახორციელებენ.

დაჯილდოების ცერემონიალი 23 ივნისს გაიმართა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გამომცემლობის სპეციალური პრიზებით პროექტის ათივე ფინალისტი დაჯილდოვდა.

საერთო რეიტინგში ყველაზე მაღალი ქულების მქონე 10 კონკურსანტი ერთმანეთს ფინალში შეხვდა. პროექტის თითოეულ ეტაპზე გამოვლინდა ტურის ლიდერი, რომელიც სამახსოვრო საჩუქრებითა და სერტიფიკატებით დაჯილდოვდა, კონკურსის ფარგლებში ჩატარდა 5 ონლაინ ვიქტორინა, რომლის გამარჯვებულებიც პრიზებს და დამატებით 2 ქულას იღებდნენ.

პროექტის გამარჯვებული კონკურსის მიმდინარეობის შესახებ საუბრობს.

***— თქვენ შესახებ რომ გვიამბოთ ... რა არის ის მთავარი მონაპოვარი, რაც უნივერსიტეტისგან მიიღეთ და „პლანეტა რიდმორამდე" უნივერსიტეტის სხვა პროექტებშიც თუ მიგიღიათ მონაწილეობა?***

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი ვარ, ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაშიც აქვე ვსწავლობდი. უნივერსიტეტი ისევე მიყვარს, როგორც, დარწმუნებული ვარ, ყველა სტუდენტს.

აქ ბევრი რამ ვისწავლე. არ ვგულისხმობ მხოლოდ პროფესიულ საკითხებს. უნივერსიტეტში მუშაობენ ადამიანები, რომელთაც ძალიან ბევრი გაუკეთებიათ ჩემთვის და სხვა სტუდენტებისთვის და რომელთა აღმოჩენასაც სწორედ უნივერსიტეტს ვუმადლი. უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებულ სხვა პროექტებში მიღია მონაწილეობა, მაგრამ ისინი განსხვავებული იყო. „პლანეტა რიდმორის" ტიპის კონკურსში პირველად ჩავერთე. როგორც გავიგე, წინა წლებშიც ჩატარებულა, მაგრამ არ ვიცოდი ამის შესახებ.

***— რატომ ჩაერთეთ „პლანეტა რიდმორის" კონკურსში?***

— როდესაც კონკურსის შესახებ გავიგე, ბევრი კუთხით დამაინტერესა. მინდოდა, საკუთარი თავი გამომეცადა. მით უმეტეს, კონკურსი წიგნებს ეხებოდა (კითხვა ძალიან მიყვარს), თანაც ის გამომცემლობა იყო ჩართული, რომელსაც დიდი ხანია ვგულშემატკივრობ და მიყვარს.

***— რამდენად რთული იყო ამ პროექტში მონაწილეობა და ზოგადად, როგორ გაიხსენებ პროექტის მიმდინარეობას დასაწყისიდან ბოლო დღემდე?***

— პროექტში მონაწილეობა რთული იმ მხრივ იყო, რომ გვჭირდებოდა წიგნების არა მხოლოდ წაკითხვა, არამედ, ფაქტობრივად, დამუშავება. მეც და სხვებიც ტექსტებიდან ვინიშნავდით ინფორმაციას, უნდა დაგვემახსოვრებინა ფრაზები, შინაარსის დეტალები. რამდენადაც უფრო საინტერესოა წიგნი, იმდენად მეტი წვრილმანია ყურადღებამისაქცევი და სასწავლი. მაგალითად, საფინალო წიგნი - ენდი უირის „მარსელი" – სავსე იყო ტექნიკური დეტალებით, ქიმიისა და ფიზიკის ფორმულებით.

საკონკურსო წიგნების უმეტესობა ფენტეზის ჟანრის იყო, სადაც მრავლად გვხვდებოდა გამოგონილი საკუთარი სახელები, ტერმინები, ცნებები... გვჭირდებოდა, გვცოდნოდა ყველა წვრილმანი, რომ გვეპასუხა ღია და დახურულ კითხვებზე, შეგვევსო კროსვორდები...

მაგრამ, ამ სირთულეს აბათილებდა აზარტი, რითიც, ალბათ, ყველა მონაწილე იყო სავსე. ყოველთვის მოუთმენლად ველოდი ტესტირების დღეებს. ტურებზე ყველას ეტყობოდა ხალისი და დიდი ინტერესი.

საბოლოოდ, კონკურსი ძალიან კარგად მახსენდება თავიდან ბოლომდე, რისთვისაც დიდი მადლობა ორგანიზატორებს, რომლებმაც ასე გულმოდგინედ მოამზადეს ყველაფერი.

***— შერჩეული წიგნებიდან ყველაზე მეტად რომელი მოგეწონა?***

— ათივე ტურისთვის მრავალფეროვანი და ძალიან კარგი წიგნები იყო შერჩეული. თუმცა, ყველაზე მეტად მაინც ურსულა ლე გუინის „წყვდიადის მარცხენა ხელი" მომეწონა. ასევე არაჩვეულებრივია დენიელ კიზის „ყვავილები ელჯერნონისთვის", მაგრამ ეს წიგნი მანამდეც მქონდა წაკითხული და ამიტომ უშუალოდ კონკურსის მიმდინარეობისას „წყვდიადის მარცხენა ხელმა" მოახდინა ყველაზე დიდი შთაბეჭდილება.

***— თავისუფალ დროს, დამოუკიდებლად, რა წიგნებს კითხულობ და რა მოგწონს?***

— ყველანაირ წიგნებს ვკითხულობ, ყველა ჟანრის, ეპოქის, კულტურის წარმომადგენელი ავტორები მაინტერესებს. მიყვარს საბავშვო ლიტერატურაც და ზრდასრულებისთვის დაწერილი ნაწარმოებებიც. არ აქვს მნიშვნელობა მიმდინარეობასა და თემატიკას, კარგი ავტორის წიგნი ყოველთვის კარგი წასაკითხია.

# თსუ-ს ფუტსალის გუნდი ევროპის ჩემპიონთა ლიგაზე



შვეიცარიაში, ქალაქ ნიონში გაიმართა უეფა-ს ფუტსალის ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრა. კენჭისყრაზე გაირკვა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუტსალის პროფესიონალური გუნდის მეტოქეები ევროტურნირზე. თსუ ფუტსალის გუნდი ქვეჯგუფში განითესა და მისი მეტოქეები არიან: „სიევი ფუტსალი" (ფინეთი), „ვალეტა" (მალტა), „ვოტსელი" (შოტლანდია). ქვეჯგუფში პირველ ადგილზე გასვლის შემთხვევაში თსუ ფუტსალის გუნდი ძირითად ეტაპზე იასპარეზებს. თსუ ფუტსალის პროფესიონალურმა გუნდმა საქართველოს ფუტსალის უმაღლეს ლიგაში მთელი წლის მანძილზე წარმატებით იასპარეზა და დამარცხების გარეშე მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის წოდება. სპორტის ამ სახეობაში უნივერსიტეტს დიდი ტრადიციები აქვს. წლების მანძილზე გუნდი ასპარეზობდა უმაღლეს ლიგაში. სხვადასხვა წლებში თსუ-ს გუნდი გახდა საქართველოს ფუტსალის უმაღლესი ლიგის სამგზის მესამე და ორგზის მეორეადგილოსანი, ასევე – საქართველოს თასის მფლობელი. მიმდინარე წელს კი, უნივერსიტეტის გუნდმა გაიმარჯვა – გახდა საქართველოს ჩემპიონი და მოიპოვა ჩემპიონთა ლიგაზე მონაწილეობის უფლება. ჩემპიონთა ლიგაზე ევროპის საუკეთესო კლუბები იქნებიან წარმოდგენილნი.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge